

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი N57

სხდომის ჩატარების დრო:
25 თებერვალი, 2025 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:
რუსთაველის გამზირი N3
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენიშვნაში არსებული სხდომათა დარბაზი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ამირან კოპალეიშვილი.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

მაია სიმონიძე, მაგდა კოსტავა, თეიმურაზ ნადირაძე, ზაქრო მამასახლისი, ჯემალ ბიბილეიშვილი, მამუკა რიყამაძე, გრიგოლ შუშანია.

სულ: 8 წევრი.

არ ესწრებოდნენ: ბესიკ ხამაშურიძე, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, კობა გურული.

სულ: 6 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ვალერიან სილაგაძე.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში მოწვეული სპეციალისტი იმედა სალინაძე.

სხდომა გახსნა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე ბატონმა ამირან კოპალეიშვილმა და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზონების საზღვრების აღწერის, ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ;

2. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების, ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის N69 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

3. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს ფოსტისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 აპრილის N375 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

4. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქვალთი სფეისისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 აგვისტოს N317 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მადლისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ამირან კოპალეიშვილმა დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ბესიკ ხამაშურიძე, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, კობა გურული.

ღია კენჭისყრით, ერთხმად და ა ა დ გ ი ნ ე ს :

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის პირველი საკითხის- „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზონების საზღვრების აღწერის, ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“

ზემოაღნიშნულ საკითხზე დადგენილების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა ვალერიან სილაგაძემ.

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა ვ.სილაგაძემ აქვე განმარტა: „მოგახსენებთ, რომ ყოველი წლის დასაწყისში დგინდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზონების საზღვრების აღწერის, ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზებო საფასური, რომელიც წელს იგივე რჩება და არ იმატებს, თუმცა მუნიციპალიტეტის ვალდებულებაა ყოველწლიურად განსაზღვროს აღნიშნული საფასური.“

კომისიის წევრი, ბატონი ზაქრო მამასახლისი: „თუ ყოფილა შემთხვევა, რომ კვადრატული მეტრი გაყიდულა, პირობითად 1000 ლარად?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი ვალერიან სილაგაძე: „ბატონო ზაქრო აღნიშნული ფასი არის საწყისი საპრივატიზებო საფასური, რათქმუნდა შესაძლებელია აუქციონის შედეგად ფასის გაზრდა და ამ გაზრდილი ფასით პრივატიზება.“

კომისიის თავმჯდომარე ბატონი ამირან კოპალეიშვილი: „ამ საკითხთან დაკავშირებით აუდიტმა მოიწერა, რომ გაყიდვამდე თითოეული ობიექტი შეგვეფასებინა ინდივიდუალურად და ამის შემდეგ, პრივატიზებამდე ვაგზავნით შესაფასებლად სამხარაულის ბიუროში.“

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ამირან კოპალეიშვილმა დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ბესიკ ხამაშურიძე, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, კობა გურული.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-7 წევრი, თავი შეიკავა გრიგოლ შუშანიამ) დაადგინეს:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს დადგენილების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზონების საზღვრების აღწერის, ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“

მუხლი 2. დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მოიხმინეს:

დღის წესრიგის მეორე საკითხის- „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების, ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის N69 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ზემოაღნიშნულ საკითხზე დადგენილების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა ვალერიან სილაგაძემ.

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა ვ.სილაგაძემ აქვე განმარტა: „აღნიშნული საკითხი ადრეც იყო გამოტანილი საკრებულოზე, დადგენილებას ემატება მეორე პრიმა მუხლი, კერძოდ, დამტკიცდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საცნობი ნიშნის ფორმა, ასევე ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალებისათვის განსაზღვრული საცნობი ნიშნების ფორმა, ასევე დადგენილებას დაემატოს 22-ე პრიმა მუხლი, კერძოდ, შშმ პირთა საცნობი ნიშნის გაცემა და საცნობი ნიშნის მქონე ავტომობილების პარკირება, სადაც ჩამოთვლილია ყველა დოკუმენტი, რისი წარდგენაც საჭიროა „პარკინგსერვისისათვის“ შესაბამისი ქმედების განსახორციელებლად.“

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ამირან კოპალეიშვილმა დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ბესიკ ხამაშურიძე, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, კობა გურული.

ღია კენჭისყრით, ერთხმად დაადგინეს:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს დადგენილების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების, ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის N69 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

მუხლი 2. დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მესამე საკითხის - „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს ფოსტისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 აპრილის N375 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა ვალერიან სილაგაძემ.

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა ვ.სილაგაძემ აქვე განმარტა: „მოგახსენებთ რაში მდგომარეობს ცვლილება, მუნიციპალიტეტს, საკრებულოს თანხმობით 2021 წლის 28 აპრილის N375 განკარგულებით საქართველოს ფოსტისათვის გადაცემული აქვს გარკვეული ლოკაციები ჯიხურების განსათავსებლად, დღეის მდგომარეობით იტოვებს მხოლოდ 11 ადგილს, გადაცემული 18 ერთეულიდან, დანარჩენზე ამბობს უარს, წლიური საიჯარო ქირა კვადრატულ მეტრზე შეადგენს 50 ლარს.“

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიის წევრი, ბატონი გრიგოლ შუშანია: „კონკრეტულად ამ საკითხს არ ეხება მაგრამ ერთ ყურადსაღებ საკითხს მინდა შევეხო თქვენის ნებართვით, რომ შევთავაზოთ „საქართველოს ფოსტას“ ეს გადამწვარი შენობა, რომლის გამკეთებლებიც სავარაუდოდ თვითონ არ არიან, რომელიც არის ისტორიული შენობა, რაიმე გამოსავალი რომ ვიპოვოთ, თუნდაც დავიბრუნოთ საკუთრებაში და ჩვენვე გავარემონტოთ ეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი.“

კომისიის წევრი, ბატონი თეიმურაზ ნადირაძე: „როდესაც თამარ მეფეზე დაიგო გზა და გაკეთდა ღვარსადენები, დაგეგმილი იყო ფასადების რეაბილიტაცია, მაგრამ ამ მონაკვეთზე აღმოჩნდა 14 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, არ იყო დასკვნები და ეს საქმე ვერ განხორციელდა.“

კომისიის წევრი, ბატონი გრიგოლ შუშანია: „ფაქტი ერთია ისტორიული შენობაა და გამოსავლის მოძებნა გვმართებს, შესაძლებელია განვიხილოთ გაცვლაც, ჩემი შემოთავაზებაა მივადწიოთ რაიმე ტიპის შეთანხმებას და დავაყენოთ ეს საკითხი საკრებულოს დღის წესრიგში.“

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ამირან კოპალეიშვილმა დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ბესიკ ხამაშურიძე, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, კობა გურული.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-7 წევრი, თავი შეიკავა გრიგოლ შუშანიამ) და ა დ გ ი ნ ე ს :

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს ფოსტისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 აპრილის N375 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

მუხლი 2. დღის წესრიგის მესამე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

დღის წესრიგის მეოთხე საკითხის- „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქვალთი სფეისისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 აგვისტოს N317 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა ვალერიან სილაგაძემ.

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა ვ.სილაგაძემ აქვე განმარტა: „აღნიშნულ შპს-ს გადაცემული ჰქონდა 3 მიწის ნაკვეთი, მათ შორის ერთი შენობა-ნაგებობით, ვინაიდან რკინიგზის პოლიციის შენობა აუქციონის წესით გასხვისდა, შესაბამისი ცვლილება ხდება საკრებულოს განკარგულებაში, ამოღებულია მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობით და დანარჩენი რჩება უცვლელი.“

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ამირან კოპალეიშვილმა დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ბესიკ ხამაშურიძე, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, კობა გურული.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-7 წევრი, თავი შეიკავა გრიგოლ შუშანიამ) და ა ა დ გ ი ნ ე ს :

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქვალთი სფეისისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 აგვისტოს N317 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

მუხლი 2. დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

დღის წესრიგის მეხუთე საკითხის- „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მადლისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა ვალერიან სილაგაძემ.

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა ვ.სილაგაძემ აქვე განმარტა: „არსებულ ხელშეკრულებებს გასდით ვადა და ექვემდებარება იჯარის გაგრძელებას.“

კომისიის წევრი ქალბატონი მაია სიმონიძე: „კიდევ ერთხელ რომ შემახსენოთ რა გვაქვს გადაცემული მადლისთვის?“

კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ამირან კოპალეიშვილი: „მადლს მისცეს ადგილები სადაც გაყიდდა პროდუქტს საბაზრო ფასზე გარკვეული პროცენტით იაფად, შემდეგ წინა მოწვევის მერის დროს შეუჩერეს საქმიანობის უფლება, რაც შპს-მ გაასაჩივრა სასამართლოში და მოიგო კიდევ, გააგრძელეს საქმიანობა, მაგრამ დაემთხვა პანდემიის პერიოდი და ვერ იმუშავა, ახლა მოგვმართავს კვლავ თხოვნით, რომ გააგრძელოს საქმიანობა, თუმცა უფრო ნაკლებ ლოკაციაზე განათავსოს დახლები, ვიდრე ადრე.“

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ამირან კოპალეიშვილმა დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ბესიკ ხამაშურიძე, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, კობა გურული.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-7 წევრი, თავი შეიკავა გრიგოლ შუშანიამ) და ა ა დ გ ი ნ ე ს :

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მადლისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

მუხლი 2. დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

ამით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე ამირან კოპალეიშვილი

